დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108261212**

თარიღი:**01/05/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელი ვარდისუბანში მდებარე 13128 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს.კ 82.12.48.568) მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1 (დანგრეული) პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა.“ და ,,ე.ე.“ ქვეპუნქტების, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელი ვარდისუბანში მდებარე 13128 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ 82.12.48.568) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის N1 (დანგრეული) პრივატიზებისათვის გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 31806 (ოცდათერთმეტიათასრვაასექვსი) ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტიათასი), ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 300 (სამასი) ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა საპრივატიზებო თანხის გადახდის ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით.

3. ამ ბრძანების დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.dmanisi.gov.ge გამოქვეყნება დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 01 მაისიდან 2026 წლის 15 მაისის 17:00 საათის ჩათვლით.

5. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

6. ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა აუქციონში გამარჯვებული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

7. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი)

კალენდარული დღის ვადაში.

8. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ხოლო ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თემურ ზურაბიშვილს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი